


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 20 მ ა ი ს ი 10 1898 წ. № 20

შინაარსი: ჩვენებური საქმიანობა ნ. ყორდანიასი.— სხვა და-სხვა ამბავი.—კვალის კორესპონდენციები.—შინაური ქრონიკა.—სიყვარული ლექსი ი. ევდოშვილ-სა.—წერილი შვეიცარი-დან დ. თოფურიძისა.—ქართლის ცხოვრების გადმოცემა—ქართული ენის შესახებ ფ. მახარაძისა.—გრიშას ბედნიერება, (სურათი) დ. ელიოზისშვილისა.—საქველ-მოქმედო საქმე.—შეცდომის გასწორება და უცხო სიტყვებთა ახსნა.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამამშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

† გუშინდელმა დეპეშამ ლონდონიდან სამწუხარო ამბავი მოგვიტანა, ხანგრძლივ ავათმყოფობას შემდეგ მოხუცებული გლადსტონი გადაცვლილა. ამისთანა შესანიშნავი კაცის დაკარგვა არა თუ ინგლისისთვის, მთელი კაცობრიობასთვის დიდი დასაკლისია.

## ჩვენებური საქმიანობა.

### წერა-კითხვის საზ. გამგეობა.

როგორც პირველ წერილში დავინახეთ, სენაკის სკოლის ნივთიერი მდგომარეობა ერთიანათ აირდაირია. მისი შემოსავალ-გასავალი ბნელი ზეწარით დაფარული იქმნა საზოგადოებისაგან. ეს დაამტკიცა რევიზორთა გამოძიებამ და იცნო წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ. ამას მოჰყვა 27 თიბათვის განაჩენი, რომლის ძალით ბ. ინსპექტორი დაძრულ იქმნა თავისი ალაგიდან. მარა აი გავარდა ხმა ამ განჩინების შესახებ და ბ. ინსპექტორის მეგობრებმა ასტეხეს ერთი აშკარა თუ მალული ფაცა-ფუცი. პირველ ყოვლისა ამხედრდა სენაკის 57 თავადი და აზნაური და თავის წინამძღოლს განცხადება მიართვეს, თუ არ ბ. ყიფიანი ისე ჩვენ აქ არ დაგვედგომება. ეს ახირებული პროტექცია ბ. წინამძღოლმა ხელზე დაიხვია და წ. კ. საზ. თავმჯდომარეს ერთი ვეებერთელა თხოვნა გამოუგზავნა, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგს: ბ. ყიფიანის წინაალმდეგ „ყოველგვარი საჩივარი უყურადღებოთ იქმნას დატოვებული" ე სკოლის გამგეთ ისევ ყიფიანი დარჩეს, „თუნდაც ეს ყველა მასწავლებელთა გადაყვანას მოითხოვდესო". ცხადია, ბ.ბ. პროტექტორთ არ ცოდნიათ რომ ბ. ყიფიანი გადაყვანილ იქმნა არა მასწავლებელთა თხოვნით, არამედ რევიზორთა მოხსენებით და თუ სადმე ამის მიზეზია—ეს ისევ სკოლის უწეს-რიგო დავთრებში უნდა მოიპოვებოდეს და არა მასწავლებელთა „საჩივარში". მაშასადამე ისინი თხოულობენ რევიზორთა მოხსენების უყურადღებოთ დატოვებას, გამგეობა თავის მიერ გაგზავნილ ორ

ქ. მარქსის სახ. სახელმწიფო [illegible]

წევრს აღარ უნდა ერწმუნოსო, ე. ი. გამგეობამ თავის თავი უარჰყოსო! მაგრა რა გასაკვირველია სენაკის კეთილმოზილებმა საქმის ვითარება არ იცოდენ, როცა ეს თვით ინსპექტორსაც არ ცოდნია. ის თავის „პასუხში“ მთელ ამ დავიდარაბას მასწავლებელთ აბრალებს. ერთი სიტყვით, ბ. ყიფიანს თავის თავი ბოგდი-ხანათ დაუსახავს და ბოგდი-ხანი ხომ თავის ქვეშევრდომისაგან ღვთის წყალობასაც არ ღებულობს. მაგრა ეს მას კიდევ ვერ უცვნია საკმარისათ. მას კიდევ ეხმარება ბოგდი-ხანთა მთელი გუნდი, რომელსაც ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტი ჰქვია და რომელიც ბ. ყიფიანის კეთილდღეობაზე უფრო მეტს ზრუნავს, ვინემ სკოლის საქმეებზე. აი ეს კომიტეტი გამგეობას თხოვს: განჩინებას ნუ მოიყვანთ სისრულეში, სანამ საქმე გამოძიებულ არ იქმნასო. აღარც მას ცოდნია, რომ საქმე გამოძიებულიც არის და დანახულიც. და ან კი როგორ არ უნდა ცოდნოდა რევიზორთა გაგზავნა სენაკის სკოლაში. ეჭველია იცოდა, მაგრა შეძლება მათ მოწმობას არ რაცხდა სავალდებულოთ და მხოლოთ თავის თავს აღიარებდა სკოლის უზენაეს პატრონათ. და მერე რანაირი პატრონია ის, რომელსაც თავისი აზრი სკოლის შესახებ არ ჰქონებია. აგერ რვა თვეა გამგეობამ მას დაავალა წარმოგვიდგინეთ თქვენი შეხედულობა სენაკის სკოლის შესახებო და მას ჯერაც არ წარმოუდგენია და აი ასეთი სამზრუნველო, თუ უზრუნველო, კომიტეტი პროტესტს აცხადებს ბ. ყიფიანის გადაყვანის წინააღმდეგ. აშკარაა, ეს პროტესტი დამყარებულია არა საქმის ცოდნაზე, არამედ ნაცნობ-მეგობრობაზე. და რადგანაც ბ. თ. მთავრიშვილი ამ კომიტეტის მინა-მორჩილია, ამიტომ უარი თქვა სენაკის სკოლის ინსპექტორობაზე და ისევ ქუთაისში დარჩენა არჩია.

ამგვარათ, წ. კ. საზ. გამგეობას შეებრძოლენ მისი ხელ-ქვეითები: ინსპექტორი, სამზრუნველო კომიტეტი და ამათ აიყოლიეს სრულიად გარეშე პირები. უფლება ინსპექტორის და უფლება გამგეობის ერთმანეთს მოხვდა. მოსალოდნელი იყო გამგეობა დაიცავდა თავის თავს, თავის განაჩენს და მებრძოლთა კინკლაობის გარეშე დადგებოდა. მაგრა გამგეობამ სწორეთ იქ ჩაიჩოქა, სადაც ფეხზე უნდა დამდგარიყო, სწორეთ მაშინ უარჰყო თავის თავი, როცა მისი გამტკიცება საჭირო იყო. 22 მარიამობისთვეს მომხდარ სხდომაზე გამგეობამ თავისი სისუსტე აშკარათ გახადა. მან გააშავა ის, რაც წინა კვირაში გაათეთრა, მან დაარღვია თავისი განაჩენი, გააუქმა თავისი ხელ-წერა და მიიღო სულ წინააღმდეგი განაჩენი. აი რას ვკითხულობთ ამ ღირს-შესანიშნავ ოქმში: „გამგეობამ მოისმინა რა ყოველივე (ე. ი. ზემოთ მოხსენებული პროტესტები) და დაინახა რა, რომ მისი წინანდელი დადგენილება სენაკის სკოლის საქმეზე არ შესრულდებოდა, რადგან ბ-ნმა მთავრიშვილმა უარი თქვა სენაკის სკოლის ინსპექტორობაზე, დაადგინა: გამოეცხადოს მკაცრი საყვედური მთელ კრებულს სენაკის სათავად-აზნაურო სკოლისას, ე. ი. ინსპექტორს და მასწავლებელთ“... აქედან ნათელია, რომ ბ. მთავრიშვილის უარის თქმა გაუხდიათ მიზეზათ წინანდელი განჩინების დარღვევისა. და მერე ეს მართლა მიზეზია? ნუ თუ საქართველოს მასწავლებლობა ბ. მთავრიშვილის წინ გაჩერდა? ნუ თუ მის გარეშე აღარავინ მოიპოება? ნუ თუ წარმოსადგენია ის, რომ საქართველოში საინსპექტორო კაცი არ არის მთავრიშვილს გარდა? ეს დამცირებაა მთელი ერის, ეს შეურაცხყოფაა მთელი ქვეყნის და მერე ვისგან გვესმის ეს? წ. კით. საზოგ. გამგეობისაგან! არა, ეს მისი გულ-წრფელი პასუხი არ არის, ეს მისი მოქმედების ნამდვილი მიზეზი არ არის, ეს უბრალო მომიზეზებაა, უბრალო სიტყვის მასალაა და მეტი არაფერი. მას ასეთი გასაშტერებელი საბუთის მოყვანა დაჭირდა მხოლოთ იმიტომ, რომ ბ. ყიფიანი თავის ალაგას დაეტოვებია. და ამ სურვილს, ამ გულის თქმას ანაცვალა საბუთი, სინამდვილე, ლოღიკა—ერთი სიტყვით ყველაფერი, ასე გასინჯეთ თავის თავიც კი. ამაზე მეტი მსხვერპლი შესაძლებელია? მოვისმინოთ კიდევ ეს ახირებული ოქმი. აღნუსხეს რა ყოველივე ნაკლულევანება ინსპექტორისა, ამბობენ: „ინსპექტორი ყიფიანი დარჩეს ისევ ინსპექტორათ იმ დრომდე, ვიდრე სკოლის ანგარიშები თავისას არ იქნებიან და ქუთაისის სკოლის კომიტეტს ეთხოვოს, რომ თავის მხრით გამოიძიოს გარემოება ამ ანგარიშისა, რისთვისაც გაეგზავნოს მას პირი სარევიზიო კომისიის მოხსენებისა და თავის დასკვნა წარმოუგზავნოს გამგეობას ორი თვის განმავლობაში“. (ამას ჯერაც არ წარმოუდგენია) ზევით გამგეობამ რევიზორთა მოხსენება საბუთათ აღიარა, მკაცრი საყვედურის მაინც, ახლა კი ეჭვი შეაქვს ამ საბუთში და ამბობს: „სანამ სკოლის ანგარიშები თავისას არ იტყვიანო“! მაშ რა იყო ორი სარევიზიო კომისიის მოხსენება თუ არა სკოლის ანგარიში? მაშ გამგეობა არ ენდობა თავის რევიზორთ, რასაც ბ. ყიფიანი და მისი მფარველები თხოულობდენ. ეს უნდობლობა ნიშნავს თავის თავის უარის ყოფას და ბ. ინსპექტორის უთაურობის დაკანონებას. ცხადია, გამგეობამ მუხლი მოიდრიკა ბ. ყიფიანის წინაშე და მოტევება თხოვა. *) ეს უთავბოლო მო-

*) ამ ოქმზე ხელი უწერიათ: თავმჯდომარეს ილ. ჭავჭავაძეს, მის ამხანაგს ნ. ცხვედაძეს, წევრი: ყიფიანი,

ქმედების სრული გამარჯვებაა და მართლაც სენაკის სკოლის მერმინდელი ისტორია ამ უთავბოლობის გაგრძელებაა. ნ განა შესაძლებელი იყო სხვანაირათ? როცა არეულ-დარეულობა იმარჯვებს სათავეში — მისი ლოლიკური დასკვნაც არეულ-დარეულია.

გამგეობამ დააკანონა რა სენაკის სკოლის არეული წარსული, მოინდომა აწმყოს მაინც მოწყობა. ამისათვის მან შეიმუშავა ორი ინსტრუქცია, ერთი საპედაგოგიო რჩევისთვის და მეორე სამეურნეო კომიტეტისთვის. ბ. ყიფიანი დატოვა თავის ალაგას, ხოლო მას მარტო-მარტო საქმის წაყვანა ჩამოართვა და მასწავლებელთ ჩააბარა — ერთათ განაგებდეთ სკოლის სწავლის და ნივთიერ მხარესო. სამეურნეო კომიტეტის მოვალეობაა: „ყური უგდოს სასწავლებლის ქონებას, რისთვისაც წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს მას იმ სიებით და დავთრებით, რომელნიც იქნებიან სკოლაში შემოღებულნი, ყოველ თვიურათ შეამოწმოს შემოსავალ-გასავლის დავთარი და აგრეთვე რაოდენობა ფულისა და ფასიანი ქაღალდებისა, რომელნიც სამეურნეო კომიტეტის განკარგულებაში იქნებიან“ ერთი სიტყვით ბ. ინსპექტორის თავისუფალ პარპაშობას ვითომ ფრთა შეაკვეცეს და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს მისი დანაშაულობა და მასწავლებელთა კანონიერობა. მიუხედავათ ამისა ერთი ამათგანი ბ. ის. რამიშვილი მაინც გადაყვანილ იქმნა სენაკიდან. მარა არც ამ ინსტრუქციებით და არც ამ გადაყვანით გამოვიდა რა. ბ. ყიფიანს და მასწავლებელთა შორის დღესაც ისეთი უთანხმოება სუფევს, როგორიც წინეთ იყო — და ეს ასე იქნება რა ნაირი მასწავლებელიც უნდა განაწესოთ იქ. ახლა ბ. ყიფიანი განსაკუთრებით ებრძვის მასწავლებელთა დადგენილებას და თითქმის ყოველ მათ ოქმს თან მოსდევს მისი „განსაკუთრებითი აზრი“. აი ერთი ამ „აზრთაგანი“. მასწავლებელთა რჩევამ დაადგინა: „თითოეული გაკვეთილი 50 წუთს ნუ წასცილდება, რომ მით ერთი საგნიდან მეორეზე ბავშები დაუღალავათ გადადიოდესო“. ამას წინ აღუდგა ინსპექტორი და ერთ გძელ მოხსენებაში უარჰყოფს 50 წუთიან გაკვეთილს. ბ. ყიფიანს რომ მართლა გაცნობილი ჰქონდეს ეს კითხვა, ეცოდინებოდა ისიც, რომ დასავლეთ ევროპაში არც ერთი გაკვეთილი 45 წუთს არ აცილდება და მოსამზადებელ კლასებში ხშირათ ერთი საგნის სწავლება 20—30 წუთს წარმოებს. ბ. ყიფიანის ასეთი ბრძოლის ქაღალდებით

სავსეა წერა-კითხვის გამგეობა და გამგეობაც ქედს იხრის მას ლოლიკის წინაშე. ეს კიდევ ცოტაა. წვრილმან, უმნიშვნელო მოვლენაზე, როგორც მაგ. მასწავლებლის მიერ თავის პატარა შვილის გაკვეთილების დროს კლასში შეყვანა, ვეებერთელა მოხსენებას გზავნის ბ. ინსპექტორი. ყველა ეს, რასაკვირველია, იმიტომ, რომ რამენაირათ ათვალწუნებული მასწავლებლები (და რომელი არ არის ათვალწუნებული) თავიდან მოიშოროს. და როცა ასეთ ქაღალდებს გამგეობა სრულ მსვლელობას აძლევს, ამით აუქმებს მის მიერ შემუშავებულ „საპედაგოგიო რჩევის“ და „სამეურნეო კომიტეტის“ უფლებას და აღდგენს ბ. ინსპექტორის გაუქმებულ თვით-მპყრობელობას. გამგეობა და ინსპექტორი ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებენ. მაშ რა არის სკოლის აღმზრდელის ტ. წერეთლის დათხოვნა თუ არ ეს თანხმობითი მოქმედება. ინსპექტორმა წარმოადგინა, წერეთელი საპედაგოგიო რჩევაში მონაწილეობას არ იღებსო. გამგეობამ არც კი გამოიკითხა ამის მიზეზი, არც კი მოთხოვა პასუხი თვით წერეთელს ან და საპედაგოგიო რჩევას. მან, ყველა ამის მაგიერ, წერეთელი სამსახურიდან დაითხოვა (მარტში) და ისიკ უთხოვნოთ. სამაგიეროთ აღმზრდელი სკოლას დღემდისაც არა ჰყავს. ეს განა არ მოასწავებს იმას, რომ გამგეობა ბ. ყიფიანის მორჩილ მოსამსახურეთ გახდა? და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. რაკი მან ერთხელ ყიფიანის მხარი დაიჭირა, ბოლომდი მის მხარე უნდა ეჭიროს და მას მფარველობდეს. ხოლო ამის ნაყოფი სკოლის ისეთივე არეულ-დარეულობაა, როგორიც ეს გასულ წელს იყო...

ამ ნაირათ, დღევანდელ გამგეობამ სენაკის სკოლის კითხვა ვერ გადაჭრა, აწეწილ-დაწეწილი საქმეები ვერ გააწესრიგა და მით ეს კითხვა კანცელარიულ წრეებიდან საზოგადოებაში გადავიდა. ახლა ეს თვით საზოგადოების, და, განსაკუთრებით, წერა კითხვის საზ. წევრთა საქმეა: სურთ ამ არეულ-დარეულობას ბოლო მოეღოს თუ არა. და აი ამ კითხვას გარეშე უნდა დატრიალდეს გამგეობის წევრთა ამ კვირის არჩევანი. სენაკის სკოლის მოწყობა — აი ამ რჩეველთა მოთხოვნილება და არჩეულთა პროგრამმა!

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

Სიმინდის ფასი თანდათან მატულობს. უკანასკნელი ტელეგრამმა ლონდონიდან გვატყობინებს, სიმინდის ფასმა კიდევ აიწიაო. აგრეთვე აწეულა მარსელში.

—

ი. გოგებაშვილი, ექ. თაყაიშვილი, ალ. ჭყონია, გარსევანიშვილი, კარკაშაშვილი, გ. იოსელიანი. უკანასკნელ შვიდ წევრთ ხელი უწერიათ იმ წინანდელ ოქმზე, რომლის ძალით ბ. ყიფიანი უნდა გადაეყვანათ.

ბრილელ გლეხთა ვექილი, ბ. ყარაბეგოვი, როგორც გავიგეთ, სამოსამართლო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარს აცხადებს.

—

ფინანსთა მინისტრს გადაუწყვეტია იმ მოქალაქეთ, რომელთაც მიწა-ადგილი აქვთ და გადასახადს კი არ იხდიან, უნდა შეაწერონ გადასახადი, რასაც ჩვენში ფოსტის ფულს უწოდებენ.

—

თფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის თავს: საჭიროა გახსნათ ახალი საავათმყოფო ორმოცი საწოლით, სულით ავათმყოფთათვისო. მიხაილოვის საავათმყოფოში თურმე ძალიან ვიწროობა ყოფილა.

—

ახალ-ქალაქის მაზრაში სურთ ყაჩაღებთან საბრძოლველათ განსაკუთრებითი რაზმი დაარსონ.

—

თფილისის გუბერნატორმა მიწერა მაზრის უფროსთ, სოფლის სკოლების შენობა ყოველთვის თავ-თავის დროზე შეკეთებულ იქმნას სოფლის საზოგადოების მიერო. მაზრის პოლიცია ვალდებულია თვალყური ადევნოს დაძველებულ ან და დანგრეულ სკოლის შენობებს და მიიღოს ზომები მათ შესაკეთებლათ. თუ საზოგადოებას ამისთვის საჭირო ფული არ აქვს, მაზრის უფროსის საშუალებით უნდა მიმართოს სკოლების ინსპექტორს ასეთ მეტ ხარჯთა წყაროს აღმოსაჩენათ.

—

17 მაისს გაიმართება ქართული წარმოდგენა მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოთ.

—

„კრებულის“ № IX-ის (მაისის) დაბეჭდვა აკაკის ავათმყოფობის გამო დაგვიანდა და მხოლოთ ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში გამოვა.

—

ბაქოში დგება ერთი ამხანაგობა, რომლის მიზანია სად. ევლახიდან ქ. შუშამდე რკინის გზის გაყვანა.

—

გურიის „შუამავლის“ ახალ მმართველს საჩივარი შეუტანია ძველ მმართველზე ანგარიშების უწეს რიგობის გამო ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორთან.

—

ოზურგეთის მაზრის უფროსათ დაინიშნა ლაზარენკო.

—

სოფელ კულაშიდან ერთ ახირებულ ამბავს წერენ „ახ. მიმოხ:“ ერთ მოვალეს თავის შვილის სტუდენტ-იურისტის დახმარებით თავისი ვექსილი გამოურთმევია ერთ ებრაელისთვის, აქ ფულს დაგითვლი ხელათო, დაუხევია და ებრაელი სულ პანღურით გამოუგდია სახლში. ესეც ჩვენი სტუდენტი!

—

ქუთაისის პოლიცმეისტერი სვიმონოვი, როგორც იყო, მისცეს სამართალში სამსახურში სიყალბის ჩადენისთვის. მას ბრალდება გამოძიების ოქმების დამახინჯება და ცრუ ცნობების გამოყენება მართალი კაცის გასამტყუნებლათ.

—

დაბა საჩხერეში ამ დღეებში ერთი საინტერესო საქმე გაირჩა: ადგილობრივი პრისტავი ფიცხელაური უჩიოდა მაისურაძეს, ხელით შემეხო თანამდებობას ასრულების დროსო. მარა სუდში გამოირკვა, რომ მაისურაძე კი არ შეხებია ფიცხელაურს, არამედ თურმე ფიცხელაური შეხებია მაისურაძეს და კიდევაც მოუბევავს. ოლქის სასამართლომ მაისურაძე გაამართლა.

—

ჩაისის მწარმოებელთა კრებამ 29 აპრილს ქ. ბაქოში დაადგინა: გადაედვათ ორი ათასი მანათი ზავოდებთან პროფესიონალური კურსების გასამართავათო.

—

ჩვენ მივიღეთ დუტუ მეგრელის ლექსთა კრება „მწარე ფიქრები“, გამოცემული მასხულიას და ივანე კილაძის მიერ ქუთაისში, ღირს ერთ აბაზათ.

—

17 მაისს მოხდება ძველი ისტორიული ნაშთის ბეთანიის კურთხევა. ეს მონასტერი მდებარეობს თფილისთან ახლოს.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ზ. ზესტაფონი. შემთხვევით შევხვდი ერთ საწყალ გაჭირვებულ კაცს, რომელიც მათხოვრობდა, რაღაც ქაღალდი ეჭირა ხელში და ყველას აწვდიდა. მეც, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, ცნობის მოყვარეობის გამო გამოვართვი და წავიკითხე, მაგრამ გაკვირვებული კი დავრჩი. იქნება თქვენც, ბ-ნნო მკითხველნო, გსურთ გაიგოთ ჩემი გაკვირვების მიზეზი? დიდი სიამოვნებით. ის ქაღალდი გახლდათ „სამოწყალო მოწმობა“, რომლის შინაარსიც, სიტყვა სიტყვით გადმოწერილი, მომყავს აქვე.

„სამოწყალო მოწმობა, ესე მიეცა ჩემ მიერ, მცხოვრებ სოფელ ჭალოვანს, წირქვალის საზოგადოებისას, შორაპნის უეზდის გლეხს, სვიმონა ანტონის ძე ხველელიძეს, მას ზედა რომ ჯერ თითონ არის

საწყალი, არაფერი არ შეუძლია სნეულობის გამო, უადგილ მამულოა, წვრილი შვილები ახვევია, ცოლი მოუკვდა და შვილები უგრძნობელი სხვებმა წაიყვანეს სამადლოთ შესანახავათ. ამ საწყალს ერთად ერთი პატარა ქოხი ჰქონდა და ისიც ღვდელმა წაილო ცოლის საწირავში. სხვა ნამშრალი არაფერი აღარ აბადია. ეხლა დაიარება ეს საწყალი გზა შარაზე სამოწყალოთ".

რასაც ამოწმებს სახელმწიფო ბეჭედ დასმით იმავე საზოგადოების მამასახლისის მაგიერ „დეჟურნი პომოშნიკი" ლუკა დემეტრაშვილი. ამის წაკითხვას შემდეგ თქვენც ბ. მკითხველნო გაკვირვებულნი დარჩებით ღვდლის (როგორც გავიგე სემენარიელი ყოფილა) ასეთი საქციელით, რომელსაც „ერთად ერთი ქოხიც კი წაულია საწირავში და საწყალი კაცი წვრილ შვილებით უბინაოთ დაუყრია" რის შემდეგ საწყლები დადიან სოფლიდან სოფლათ და ყველას სამადლოთ დღიურ სარჩოსათვის ფულით შეწევნას ემუდარებიან....

ამაზე შეუძლია ბრძანოს იმ ქალოვანის პატივცემულმა ღვდელმა რომ „მე ძალით არ წამირთმევიაო და, თუ კი იმან ნებით მომცა, რატომ არ წავიღებდიო". მე თუმც არ ვიცი დანამდვილებით ძალით წაიღო თუ ნებით, მაგრამ თანახმათ მოწმობისა კი ჩანს, რომ „საწირავში წაიღო". იმ დალოცვილმა, თუ კი წაღების მოფიქრება ჰქონდა, რატომ ისიც აღარ მოიფიქრა, იმის წაღებას შემდეგ უბინაოთ დარჩენილებს რა გასაჭირი მოელოდა?.

ნაპერწკალი.

—

ბასილეთი (გურია). საფუძვლიანათ მიგვაჩნია ის აზრი, რომ ხალხი, რაც უფრო უზრუნველ ყოფილია ლუკმა პურისაგან, მით უფრო ნაკლებათ ეტანება ის განათლებაა ხოლო, რაც უფრო გაღატაკებულია და ლუკმა პური ენატრება, მით უფრო მიისწრაფვის განათლებისაკენ, მით უფრო ცეცხლიევით ეკიდება მის გულსა და გონებას შეგნებულების სურვილი. ამ უკანასკნელ ხანებში მკვირცხლი და შთაბეჭდილებიანი გურია საქართველოს ყველა კუთხეებზე გაცილებით სწრაფათ გაქანდა განათლების გზაზე. ეს ფაქტი ყველასაგან შემოწმებულია. მიზეზი ამ მოვლენისა, რასაკვირველია, მარტო ნივთიერი დაქვეითება არ არი, აქ სხვა ფაქტებსაც აქვს რამოდენიმეთ მნიშვნელობა. მაგ. ის საქართველოს დასავლეთის მხარეზე დარჩა, სადა უპირველესათ შეამუქა თავისი სხივი ევროპიულმა მოქალაქეობამ. დასავლეთის მხრით შემოჰყო თავისი გარდამქნელი თავი კაპიტალმა. მიუხედავათ ამისა, რომ გაღატაკებას მაინც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს განათლებაში, ამის მაგალითს, თუნდა ეს ბასილეთი დაგვანახვებს. რაც დრო მიდის ეს საზოგადოება თან და თან უძლურდება, მჭლევდება და ნელ-ნელ სიღარიბის ჯურღმულში ეშვება. მკვიდრთა რიცხვი თან-და-თან იზრდება; მამული, მიწა-ადგილი კი ცოტავდება, ნიადაგი თითქმის სულ გამოფიტდა, სიმსუქნისაგან დაიცალა და... სამუშაო იარაღი კი ისევ ძველებურ-ჩვენებურია. მჭადი იმდენათ მოდის, რომ თითქმის ნახევარი სოფელი თესლის მიწაში მიყრას კი მოასწრებს და შემდეგ კარის კარ დადიან, თითო ოყობით ყიდულობენ სიმინდს და ისე იკვებებიან. ხშირათ შეხვდებით, ჯერ ისევ ნედლ სიმინდს მოტეხენ და მზეზე გაშლიან გასახმობათ.. რასაკვირველია ძველის უქონლობის გამო. თუთუნსაც ეტანებიან, თუმც არც ისე ხშირათ, რომ თვალ საჩინოთ აჩნდეს ბასილეთს მისი სარგებლობა.. ჩარჩებს თითქმის მუქთათ მიაქვთ. არც ღვინო ღირს სათქმელათ. საბალახოები სანთლით საძებარია, რის გამოც შინაური პირუტყვიც ძვირია. მთელი სოფელი რომ შემოირბინოთ, ერთ თუნგ რძესაც ვერ მოაგროვებთ, ძროხებს უსაკვებობისაგან ცური ყველას შემხმარი აქვს. ერბო-ყველის ხომ სუნიც არ ეცემათ აქაურებს. არც ფრთოსნები ჰყავთ მაინც და მაინც ბლომათ. ხშირათ ქათმის რაოდენობა სათესლეს არ აღემატება: რა გასაკვირველია, რომ „მსუქანი სადილი" აქაურებს სიზმარშიაც არ ელანდებოდეს! მარტომაც აქაური გლეხ-კაცი მხოლოთ ჩონჩხს წარმოადგენს ტყავით შემოსილს, ასე გეგონებათ: მზეზე ნახმობიაო, შეუწყნარებელი ბუნებაც უვლენს რიგრიგობით სხვა და სხვა მანუგეშებელს... მაგ. გამანადგურებელ გრიგალს, „დიდ ზამთარს" „წყალ-დიდობას" და სხვ. და სხ. ჰო! და ამ მოზღვავებულ უბედურებასთან ერთათ აქაურების გულ-გონებას მართლაც „ცეცხლიევით ეკიდება სწავლის სურვილი", ასე რომ „ტყავგამძვრალი" გლეხ-კაცი უკანასკნელ ლუკმასაც არ იშურებს, ოღონდ „ჩემსავით ბნელი არ დარჩეს ჩემი შვილიო". ამ უკანასკნელ ხანებში მაინც ძვირათ შეხვდებით ისეთ ბავშს, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდეს, სასწავლებლებში (1 -სამინ. სკოლაა, 2—სამრევლო) ტევა აღარ არის. გარდა ზემოხსენებულ ძალთა კიდევ არის ერთი რაღაც გრძნეული არსება, რომელიც შიგ ძირში შეძრომია ბასილეთს და საშინელი ძლიერებით არყევს, იქით-აქეთ ზნექს და ღრმათ მორღვევას უქადის. ეს გრძნეული არსება გახლავთ ბ. დაბა „ხიდისთავი". მოუმთელდება თუ არა ტყავი ბასილეთელს, ჩაიგდებს ბრჭყალებში „ხიდისთავი" და ხელ ახლა გააშპობს. დაბა „ხიდისთავი" გახლავთ „უძირო ქვევრი", რომელშიაც ბასილეთის დედა ძარღვი სისხლიდან იცლება. ამ სისხლით ეს „ქვევრი" ხშირ-ხშირათ ორსულდება და

ჰპადავს „მოზრდილ ბურჟუას". ეს „ახლათ გამომცხვარი ბურჟუა" საკმაოთ მამულებს იძენს, ღარიბებს იშენებს, მოსამსახურეთა სრულ კომპლეკტს იჩენს, და თან-და-თან „მსხვილი მესაკუთრე" ხდება, ბასილეთის უმეტესობა კი ცარიელ ტარიელზე რჩება. „მოზრდილ ბურჟუათა" რიცხვი 5—8-მდე აღის დღეს. რა თქმა უნდა, „კანცელარია" უარეს შავ დღეს აყენებს აქაურებს. „კანცელარია" ხომ მთავრობისაგან დაარსებული სასამართლოა, საცა დასჯილი და დაზარალებული სამართალს უნდა ეძებდეს, ნუგეშს უნდა ჰპოვებდეს, მარა აქაური მამასახლისის და გაქნილი მწერლის მეოხებით ამ მთავრობისაგან ბოძებულ სამშვიდობოში ისე ეშინია შესვლა გლეხს, როგორც გველთა ხვრელში... ეს სოფლის მაენენი, რაც უფრო გალატაკებულია საზოგადოება, მით უფრო გაწუწკებულნი არიან და მით უფრო ულმობელათ ხრავენ ისეც გახრულ გლეხს თავისი მწვეტიანი კბილებით. ამას წინეთ იყო აქ ერთი „პომპოლიკ მამასახლისი", და „მოქნილი მწერალი." პირველი „მამასახლისობამდისაც" ქურქლიევით იყო, მარა „მამასახლისობაში" მაინც სულ ქარხალს დაემზგავსა. მწერალი ნაცვლებს ფულს აგროვებინებდა და მიღებაზე „კვიტანციას" კი არ აძლევდა.. „ახლა არა მცალიან, მერე მოგცემო". ბოლოს იმდენი ჰქნეს, რომ ბასილეთს ხელ მეორეთ 2000 მან. გადაახდევინეს კისერზე.. „პომპოლიკ მამასახლისს" ვადა გაუთავდა, ხოლო მწერალს ვიღაცის ძლიერი ჰიტლაყი მოხვდა და მეორე საზოგადოებაში გადასტყორცნა. თუმცა სულ ერთია გინდ პეტრესთვის გამოუკრავს გული და გინდ ივანესთვის... მათი მოადგილენი, რასაკვირველია, მათზე უარესნი არიან. მარა ამ გამძიძგნელ „ხროსთან" ერთათ, ერთი მანუგეშებელი მაინც ჰყავს ბასილეთის საზოგადოებას. ქვენობნის წმ. გიორგის ეკლესიის „მღვდელ ბლადიჩინი" რამიშვილი. ეს პატივცემული პირი ნამდვილი ზნეობის ბურჯია. ის დაუღალავათ ესწრება ყოველ ნათლობა-ქორწილს და სულ უშვერი სიტყვით ლანძღავს და შეურაცხყოფას აყენებს იქ დამსწრე მანდილოსნებს. მაგ. ამას წინეთ კარგა ლაზათიანათ საღმრთო ენაზე შემოელანძღა ერთი უმისოთაც განუკითხავათ „უვიც ბრბოსაგან (რომელსაც სიყვარული დანაშაულათ მიაჩნია) დასჯილი და დამცირებული ადამიანი. რამიშვილი ნამდვილი ღვიძლი შვილია სემინარიისა და ისე ერთგულათ ასრულებს „წვრილმან ფორმალისტიკას", რომ უკვდავების წყარო უფრო ადვილი საშოვარია, ვინემ მისი ხელიდან „რამე მოწმობის" დაცინცვლა. ყველა ზემოხსენებულ ფაქტებს, რასაკვირველია, უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია ბასილეთის ცხოვრებაში და ეს საზოგადოება უკვე აღოლდა. როგორ თუ აღოლდა?! ისე რომ აღოლდა! თუმცა აქაური გლეხი ერთ[illegible]რა მიწაზეა მიქაქული და ნაბრძანები აქვს: „გინდა თუ არა, აქედან ამოადინე დაულეველი წყარო ათას გვარ მოვალეობათა დასაკმაყოფილებლათო", მარა შეუძლებლობამ და აუცილებლობამ თავისი გაიტანა, გლეხ კაცმა აიწყვიტა ჯაჭვი და ქარხანაში ჰკრა თავი. სად არ შეხვდებით ახლა „ხიდისთაველს"? ბათუმში, ნოვოროსიაში და ოდესაშიაც კი. ეს აღოლება, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის და ძალიან ღრმათაც აქვს ძირი გამდგარი. ცხადია პაწაწინა ბასილეთში პაწაწინა ევოლიუცია დაიწყო. ბასილეთის საზოგადოებას კი არ გააჩნია არავითარი ძალა, არავითარი საშუალება, რომ ეს მოძრაობა შეაჩეროს და დროებით მაინც გაუმკლავდეს. აი ასე ნელ ნელა ჩაება ბასილეთი ახალ ცხოვრებაში.

მოკვლი.

## შინაური ქრონიკა.

წასული წლის 13 ნოემბერს ქ. გორში თფილისის საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია თ-დი ნიკ. დავ. დიასამიძის მოკვლის საქმე. ეს საქმე ბრალდებოდათ ოთხ ბრილელ გლეხს: ბესო იმერლიშვილს, სარდო ქართველიშვილს, გაბო იმერლიშვილს და ლექსო ჩუბინიძეს. პირველმა მათგანმა, ბესო იმერლიშვილმა, როგორც წინეთ, ისე სასამართლოშიაც, მხოლოთ თავისი თავი იცნო ამ საქმეში დამნაშავეთ; დანარჩენებმა სასამართლოში, საქმის გარჩევის დროს, განაცხადეს, რომ მათ ამის შესახებ არა იციანრა. მაგრამ ამ დროს სასამართლოს შინაშე წარდგა ორი მოწმე: გორის მაზრის უფროსის თანაშემწე არნოლდი და მამასახლისათ ნამყოფი მაჭარაშვილი, რომლებმაც აჩვენეს, რომ, როგორც ბესო იმერლიშვილი, ისე დანარჩენი სამი ბრალდებულნი, პირდაპირ გამოგვიტყდენ და განაცხადეს, თ-დი დიასამიძის მკვლელობაში ჩვენც ვერიეთო. სასამართლო დაემყარა ამ მოწმეთა ჩვენებაზე და ოთხსავე ბრალდებულთ გადაუწყვიტა ათ-ათი წლის კატორგა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილმა ნაფიცმა ვექილმა, ალექსანდრე ივანესძე ყარაბეგოვმა, სასამართლოს წინაშე იკისრა ხსენებულ გლეხთა დაცვა და საოლქო სასამართლოს განჩინებაზე თფილისის სამოსამართლო პალატაში შეიტანა აპელაცია. ამ საქმის გარჩევა მოხდა სამშაბათს, ხუთ მარსს.

აი მოკლეთ ამ აპელაციის შინაარსი: საოლქო სასამართლოს განჩინება მოკლებულია ყოველგვარ ფაქტიურ და იურიდიულ საფუძველს და შემდეგ მოსაზრებათა ძალით უარ ყოფილ უნდა იქმნას. სასა-

მართლო თავის განაჩენს ამყარებს შემდეგ პირთა ჩვენებაზე: გრიგოლ დიასამიძის, (მოკლულის შვილია) გორის მაზრის უფროსის თანაშემწის არნოლდის, მამასახლისი მაჭარაშვილის და ივანე ქართველიშვილისა. მარა გრიგოლ დიასამიძის და დანარჩენ მოწმეთა ჩვენებას შორის აშკარა წინააღმდეგობაა, ასე რომ თუ პირველის ნაჩვენებს დავემყარეთ, მაშინ უბრალო ლოღიკის ძალით დანარჩენ მოწმეთა ნაჩვენები სრულიად უნდა უარვყოთ, და, პირიქით, მეორე მხრით რა საფუძველი გვაქვს უარვყოთ გრიგოლ დიასამიძის ჩვენება, რომელიც ერთად ერთი დამსწრეა თ დი ნ. დიასამიძის, მისი მამის, მოკვლისა, და მივიღოთ არნოლდის და მაჭარაშვილის ჩვენება, რომლებმაც გამონახეს ვითომდა „დასამტკიცებელი საბუთები". სასამართლო კი ხელმძღვანელობს ყველა მოწმების ჩვენებით. ამასთანავე მას გ. დიასამიძის ნაჩვენებიდან სულ სხვა დასკვნა გამოჰყავს. ამ დამსწრე მოწმის ჩვენება თავიდან ბოლომდე გვეუბნება, რომ იქ, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, მხოლოთ ერთი კაცი იმყოფებოდა. სასამართლომ კი დიასამიძის ჩვენებიდან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ იქ „ორ კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყოსო". მაგრამ ვთქვათ, რომ სასამართლომ მართალი დასკვნა გამოიყვანა, ვთქვათ რომ მკვლელობის ადგილას ერთი კი არა ორი დამნაშავე იმყოფებოდა; ამ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი რჩება, თუ რა ლოღიკურ მოსაზრებათა საშუალებით დაემყარა სასამართლო არნოლდის და მაჭარაშვილის ჩვენებაზე, რომ ვითომც იმ ადგილას ყოფილიყვნენ არა ორი, არამედ ოთხი კაცი. ორში ერთი: ან გ. დიასამიძის ჩვენებაა მართალი და პატივსადები, ან არნოლდის და მაჭარაშვილის, მარა ერთ და იმავე დროს ერთიცა და მეორეც ხელმძღვანელობა სასამართლო აქტს ართმევს ყოველ გვარ იურიდიულ და კანონიერ მნიშვნელობას. იმის გადაჭრა, თუ ვის ჩვენებას უნდა მიეცეს უპირატესობა,, ძნელი საქმე არ არის. ეს უპირატესობა უნდა დაეთმოს გ. დიასამიძის ჩვენებას ორი მოსაზრებით. 1) გ. დიასამიძე ამ შემთხვევის ერთად ერთი დამსწრე იყო და ამიტომ იმ საკითხის გადაწყვეტაში, თუ რამდენ კაცს მიუღია მონაწილეობა ნ. დიასამიძის მოკვლაში, მხოლოთ მის ჩვენებას აქვს მნიშვნელობა; 2) გ. დიასამიძე ამბობს მხოლოთ ერთ ლანდზე, რომლისთვის მას თვალი მოუკრავს. მაშასადამე, თუ რომ იმ ადგილას ოთხი კაცი იყო, და არა ერთი, მოწმე რამდენსამე ლანდს დაინახავდა და არა ერთს. ამ მოწმის ჩვენებიდან ასეთი დასკვნის გამოყვანა, როგორც გამოიყვანა საოლქო სასამართლომ, მხოლოთ ერთ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები: ე. ი. თუ მივიღებთ, რომ რაღაც უზენაესი ძალა ჩაერია ამ საქმეში და ოთხი კაცის ლანდი ერთი კაცის ლანდში შეაერთა, ან და ერთი კაცის ლანდი დასანახავათ გახადა, სხვების კი დაფარა ადამიანის თვალისაგან. ამნაირათ ჩვენ გვაქვს ფაქტიური საფუძველი დავადგინოთ, რომ იმ ადგილას მხოლოთ ერთი პირი იყო.

სასამართლომ სრულებით არ დაიფარა ძალა და მნიშვნელობა დამსწრე მოწმის ნაჩვენებისა; სამაგიეროთ მიმართა ყოვლად შემცდარ ზომას უეჭველი ფაქტის შესავსებლათ. ასეთი ზომის, ასეთი საშუალების წყალობით ნამდვილი ფაქტი სხვაფერდება, იჩრდილება და თითქმის სრულიად ქრება იმ მოწმობათა წინაშე, რომლებიც მხოლოთ იმიტომ ვარგა, რომ იმათი შემთხზველები პასუხის გებაში იქნან მიცემული, რათა კანონს გარეშე ადამიანის თავისუფლება არ შელახონ, სასამართლომ კი ასეთ საეჭვო ნაჩვენებზე დაამყარა ბრალდებულთა დანაშაული. რას წარმოადგენს არნოლდის და მაჭარაშვილის ჩვენება და კანონის ძალით შეეძლო თუ არა სასამართლოს იმით სარგებლობა? ბ-ნი ყარაპეგოვი დაწვრილებით შედის ამ საკითხის გარჩევაში და აღნიშნავს მის დიდ საზოგადოებრივ და იურიდიულ მნიშვნელობას.

თავდაპირველათ ის განმარტავს, თუ რა შეადგენს პოლიციის მოვალეობას სისხლის სამართლის საქმეებში (სტ. 250, 252, 254, 260 სისხლის სამართლის დებულებისა), რომ პოლიციას მხოლოთ განსაკუთრებით შემთხვევებში ეძლევა ჩვენების ჩამორთმევის უფლება, და ისიც არა სისრულით (სტ. 258 სისხ. სამ. დებულ.)

პოლიციის პრისტავმა, ტერ-აკოფოვმა, რომელიც ხაშურში ცხოვრობს, მიიღო რა ცნობა დიასამიძის მოკვლის თაობაზე, იმის მაგივრათ რომ დაუყოვნებლივ გაეგზავნა ეს სურამში მცხოვრებ გამომძიებელს, თითონ იწყებს გამოძიებას და ჩვენების ჩამორთმევას, და სრულებით არ ფიქრობს იმაზე, რომ ასეთი მოქმედებით ის არღვევს 252 და 258 სტატიებს სისხლის სამართლის დებულებისას. ეს კიდევ არაფერი; 14 აგვისტოს პოლიციის პრისტავმა ჩვენების ჩამორთმევა გადასცა გამომძიებელს, რომელიც შეუდგა საქმეს. მიუხედავათ იმისა, რომ საქმის გამოძიება სრულ წარმოებაში შევიდა და ამას შემდეგ ყოველ გვარი განკარგულება განსაკუთრებით გამომძიებლისაგან უნდა გამოსულიყო, გორის მაზრის უფროსის თანაშემწე არნოლდი ფორმალურათ ართმევს ჩვენებას საეჭვო პირებს; ეს ჩვენება მას შეაქვს ოქმში, რომელსაც აბარებს გამომძიებელს. ამას შემდეგ გამომძიებლის მოქმედება ტრიალებს პოლიციის ოქმების გარშემო; იმას ისიც კი არ მოუნდომებია,




თავისუფლება. რესპუბლიკის ძეგლი პარიჟში.

რომ იმათთვის ეკითხა რამ, რომელთაც ვითომც თავის თავი იცნეს დამნაშავეებათ: მან საკმარისათ ჩათვალა ოქმის შემთხზველის და მისი ერთგული ქვეშევრდომის მაჭარაშვილის ჩვენება. ამათ ჩვენების ძალით სასამართლომ გაგზავნა სამი კაცი კატორღაში. მაშასადამე, საქმე იმაზე მიდგა, რომ პოლიციის აგენტებმა აჩვენეს, რომ ბრალდებულებმა იცნეს თავისი თავი დამნაშავეებათ, ე. ი. ვითომც ისინი გამოტეხილიყვნენ. გამოტეხას სისხლის სამართლის საქმეებში იმდენათ ღრმა ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომ იმის გაცნობა საჭიროა სასამართლოს ყველა თანამდებობის კაცისთვის. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რას ნიშნავდა საშუალო საუკუნოებში, ინკვიზიციის დროს, ბრალდებულის „გამოტეხა". თანამედროვე სასამართლო კანონმდებლობა სულ სხვა საფუძველზეა აგებული. კანონის ძალით დღეს სასამართლო მარტო ბრალდებულის გამოტყახაზე ვერ დაემყარება; ამისთვის საჭიროა კიდევ სხვა დასამტკიცებელი ფაქტები. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ინკვიზიციური საშუალებისაკენ მიდრეკილება დღესაც ბევრს ეტყობა, და ეს შემთხვევაც ამის ერთ მაგალითს წარმოადგენს.

თუ ახლა მიემართავთ ბრალდებულთა ,,გამოტეხას", როგორც ამას არნოლდი მოგვითხრობს, დავინახავთ, რომ ის ყოველ გვარ მნიშვნელობას მოკლებულია. არნოლდი ამბობს, რომ პირველათ უნდა ესროლა ბესოს, თუ ის ააცდენდა, მაშინ უნდა ესროლა სარდოსაც; თუ ვინიცობაა ორივე ააცდენდენ, იმ შემთხვევაში მათ უნდა დახმარებიყვნენ გაბო და ლექსო, რომ თ-დი დიასამიძე მოეკლათ: მაშასადამე ბრალდებულთ გადაწყვეტილი ჰქონდათ დიასამიძის სიკვდილი. დამსწრე მოწმის ჩვენებით კი დიასამიძე წაიქცა პირველ სროლის შემდეგ. და მასთან ყოველივე მიწყნარდა: შემდეგ არც თოფის გავარდნა, არც სხვა რაიმე ხმაურობა. ამიტომ არნოლდის ჩვენება რომ რამდენიმეთ სიმართლესთან ახლო იყოს, ბესოს სროლას შემდეგ დანარჩენებსაც უნდა მიეყოლებიათ და ხანჯლით და რევოლვერით უნდა მივარდნილიყვნენ თავის მსხვერპლს. მაგრამ ამას ჩვენ არ ვხედავთ. მაშასადამე იმ ადგილს ან ბესოს გარდა არავინ არ ყოფილა, ან, თუ ვინმე იყო, თავისივე ნებით ხელი აუღია თავის წინანდელ განზრახულებაზე.

რაც შეეხება ივანე ქართველიშვილის ჩვენებას, ეს იმდენათ სულელურია, რამდენათ გულ უბრყვილო. ამ მოწმის ნაჩვენებს რომ დავერწმუნოთ, იმ შემთხვევაში ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ოთხი კაცი ერთი კაცის მოსაკლავათ სამ თოფს დ͠ ერთ გალესილ ხანჯალს საკმარისათ არ თვლიდენ. ყოველ შემთხვევაში მე მაინც ვთხოვე სასამართლო პალატას ხსენებული მოწმის გამოძახებას და მის გამოკითხვას, რომ მისი და ბრალდებულთა ურთიერთშორისი დამოკიდებულება გამოვარკვიოთ. ზევით ჩამოთვლილი საფუძველთა ძალით მე ვთხოვე სასამართლო პალატას ხსენებული განჩინება თბილისის საოლქო სასამართლოისა გააუქმოს და ბრალდებულნი სარდო ქართველიშვილი, გაბო იმერლიშვილი და ლექსო ჩუბინიძე ცნობილ იქნან გამართლებულათ".

პალატამ არ შეიწყნარა ნაფიცი ვექილის ბატონი კარაბეგოვის შუამდგომლობა სამ უკანასკნელ დამნაშავეთა სიმართლის აღსადგენათ ახალი მოწმეების გამოწვევის შესახებ და მხოლოთ ორი მოწმის, მაზრის უფროსის თანაშემწის არნოლდისა დ͠ ჯარის კაცის ივანე ქართველიშვილის, ჩვენება დაინახა საკმაოთ.

მოწმე არნოლდმა დაახლოვებით შემდეგი წარმოთქვა: მე მაზრის უფროსმა გამგზავნა ამ საქმის გამოსაძიებლათ. ჩემ მისვლამდე ადგილობრივ ბოქაულსა და ალის სოფლის მამასახლისს მკვლელი კიდეც დაეჭირათ, რადგანაც ბესო იმერლიშვილს თითონ ეთქვა: მე მოვკალიო. აგრეთვე ბოქაულს მოეკრიფა თოფ-იარაღი, რაც კი მოიპოვებოდა მთელ სოფელში, მაგრამ მე ამით არ დავკმაყოფილდი; ეჭვი შემეპარა: ვიფიქრე ამ საქმეში უთუოთ რამდენიმე კაცი მიიღებდა მონაწილეობას მეთქი და საქმეს შევუდექი. ამ მოსაზრების საბუთათ საკმაო იყო ის გარემოებაც, რომ იმ ხიდს, რომელზედაც ეს მკვლელობა მოხდა და რომელიც იმ დროს დანგრეული აღმოჩნდა, ერთი კაცი ვერაფერი ღონისძიებით ვერ დაანგრევდა. ამასთან მე კარგათ ვიცოდი თუ რა დამოკიდებულება არსებობდა დიასამიძესა და გლეხთა შორის. ამას ისიც უნდა დავუმატო, რომ ჯარის კაცმა ივ. ქართველიშვილმა მითხრა: ბესო და გაბო იმერლიშვილებმა, სარდო ქართველიშვილმა და ლექსო ჩუბინიძემ მითხრეს: ამელამ დიასამიძე უნდა მოვკლათ და მოგვეხმარეო. ამიტომ ბესო იმერლიშვილს გარდა სამნი სხვა დასახელებული გლეხებიც დავატყვევე.

ივანე ქართველიშვილმა უარჰყო ეს უკანასკნელი ნაწილი არნოლდის ჩვენებისა და თქვა: მე მხოლოთ ბესო იმერლიშვილმა მთხოვა დახმარება და მეტი არავინ მითქვამსო.

მოწმეს წაუკითხეს არნოლდის მიერ შედგენილი ოქმი, სადაც ქართველიშვილი ამბობდა, რომ დიასამიძის მოკვლაში ოთხივემ მთხოვეს დახმარებაო.— ეს ტყუილია! მე რაც ვნახე იმას მოგახსენებთ; მე თითონ რუსული არ ვიცი, ჩვენება თარჯიმანის შემწეობით ჩამომართვეს. მე ის ვაჩვენე, რასაც ახლა ვლაპარაკობ. თუ არ დამიჯერებთ, თქვენი ნებაა"ო, მიუგო ქართველიშვილმა.

ამით გათავდა მოწმეების კითხვა; რის შემდეგაც ბრალმდებლის ამხანაგმა ბ-ნმა ივანოვმა თქვა, რომ მე არ შევეხები იმ გარემოებას, თუ რაფერ და როგორ მოქმედებდა პოლიცია გამოძიების დროს. ჩვენთვის საკმაოა ის გარემოება, რომ დამნაშავეთ თითონვე აღიარეს თავისი დანაშაული. რომ ამ საქმეს ერთი კაცი ვერ ჩაიდენდა, ეს იქიდანაც ცხადია, რომ იმ ხიდის დანგრევა, რომელზედაც მკვლელობა მოხდა, რამდენიმე კაცის ფიზიკურ ძალას ითხოვდაო. ამ მოსაზრებით ბ-ნ ივანოვმა თხოვა პალატას: ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცეთო.

ნაფიცი ვექილი, ბ-ნი კარაბეგოვი, არ დაეთანხმა ბრალმდებლის ასეთ დასკვნას; მან მარტივათ და დალაგებით მოუთხრო მსაჯულთ ის უკანონო მოქმედება, ის სასტიკი ზომები, რომლისთვისაც მიემართა გამოძიების დროს მაზრის უფროსის თანაშემწეს, არნოლდს, და ბოლოს ის აზრი წარმოთქვა, რომ ამ სამი კაცის მიერ ვითომდა დანაშაულის აღსარება პოლიციის წინაშე ყოვლად უსაფუძვლოა და მართლმსაჯულებამ მითი არ უნდა იხელმძღვანელოს დამნაშავეთა ბედ-იღბლის გადაწყვეტაშიო. ასეთი მოქმედება მართლმსაჯულებისათვის მით უფრო საშიშია, რომ არნოლდმა ერთი სიტყვა ქართული არ იცის და გლეხებს ჩვენებას რუსულ ენის ცუდათ მცოდნე თარჯიმანის საშუალებით ართმევდა და ყველას კარგათ მოეხსენება, რომ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტებისათვისო. როცა ვექილმა სენატის გადაწყვეტილება მოიყვანა იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ პოლიციას უფლება არა ჰქონდა ასეთი მოქმედებისა და საქმის პატრონი თვით გამომძიებელი იყოვო, თავმჯდომარემ შენიშნა: უკეთესი იქნება სენატის გადაწყვეტილებას მხოლოთ მოიხსენებდეთ და არა განმარტავდეთო. მე როგორც ვიცი ისე ვიფარავ და ვგონებ შენიშვნისთვის ჯერ არაფერი მიზეზი არ მომიციაო, მიუგო ბ. ნ. კარაბეგოვმა. (ეს ინციდენტი ვექილისავე თხოვნით შეტანილი იქმნა სასამართლოს ოქმში). ბოლოს ვექილი შეეხო არნოლდის ჩვენების იმ მხარეს, რომელშიაც ნათქვამი იყო: ხიდი დანგრეული აღმოჩნდა და მის დანგრევას ერთი კაცი ვერ შეიძლებდაო. ვისაც სოფლის გზებზე უვლია, ადვილათ დაგვეთანხმება, რომ სოფლის ხიდების უმეტესობა დანგრეულია და ზედ მხოლოთ რამდენიმე ჯირკია გადებული. ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს ხიდიც ერთი ასეთ ხიდთაგანი იყო. ამას ნათლათ ამტკიცებს თვით გამომძიებლის ოქმი, სადაც ცხადათ არის ნათქვამი: „ხიდზე მიწა იყო მოყრილი და გამხმარი სისხლით იყო მოსვრილიო"... ყველა ამ მოსაზრებით ვექილი შუამდგომლობდა ბესო იმერლიშვილს გარდა ყველანი გაეთავისუფლეთო.

როცა დამნაშავეებს ჰკითხეს რა გაქვთ სათქმელიო, ლექსომ, გაბომ და სარდომ ერთ ხმათ აღიარეს: ჩვენ ამ საქმის არაფერი არ ვიცით, ჩვენ მხოლოთ ის ვიცით, რომ დაგვატყვევეს; გამოძიების დროს სასტიკათ გვეპყრობოდენ; გვცემდენ; ჩვენ თარჯიმანის პირით ვეუბნებოდით ყველა კითხვებზე პასუხს რაც არაფერი ვიცოდით, აბა რას ვეტყოდით? რა დაწერეს, რა ვიცითო.

პალატამ დიდი ხნის თათბირს შემდეგ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: ბესო იმერლიშვილი გაიგზავნოს კატორღაში ათი წლის ვადით, ხოლო დანარჩენები რვა რვა წლის ვადითო.



## სიყვარული.

(პასუხათ მეგობარს)

იყვარულიო... სიყვარულიო..."
ახ, რათ შევეხე მოშვებულ სიმსა,
ჩანგს კი არა, გულს ჩამოწყ-
და იგი
და ვით ყვავილი ტურფა ბაღისა,
გდია ველს, აბნევს მას ნიავ-
ქარი,
ასე დაიქცა წმიდა ტაძარი!
და ვაე სიტყვა ამო, ხმა მტკბარი
მოესმის გულსა ვით გლოვის ზარი.

—

უფსკრულის პირას, თვით განსაცდელში,
წამოჩოქილი ეკლიან გზაზე,
უცხო კერის პირს, როცა დავეძახდი
სიმ გამოუქნელ ნაღვლიან ჩანგზე,
ტალღათა შორის გზადაბნეული,
შეწყვეტებული ცხოვრების მახეს
მე მას ვიწვევდი და სალოცავათ
წარმოვიტყოდი მხოლოთ მის სახელს!
ვიწვევდი მასა მხსნელ ანგელოზათ,
მღელვარე ზღვაში ფრთათ ტლუნავისა,
მეგობრათ, სულის სხივოსან დროშათ,
კვარცხლბეკათ გულის, მოლოდინ მკლავისა;
მაგრამ გრიგალი, ძმაო, გრიგალი

არ ასვენებდა უბედურ ნავსა,
და თვით დემონმა მიაბა მხარი
მღელვარე ზღვაში ბედის აფრასა.
ჩამოწყდა სიმი, სმული ნაღველა
გარს მოენამა ცვარით და ცვარით,
და „სიყვარული", ამ სიტყვის ბგერა,
აწ გულს მიესმის გლოვისა ზარათ!

ი. ევდოშვილი.

# წერილები შვეიცარიიდან

## I.

ლაწია, შვენიერი შვეიცარია—ეს „ევროპის თეატრი", მაღალი მთებით, მარდი მდინარეებით, მდიდარი, უხვი ფლორით და ფაუნით, ბუნების სხვა-და-სხვა ფერობით გვაგონებს ჩვენ სამშობლო საქართველოს. ბევრი მხრით საქართველოს ბუნება და მისი გეოგრაფიული მდებარეობა კიდევაც აჭარბებს შვეიცარიისას; მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ამ ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოვებულ ორ ქვეყანათა შორის კულტურული მსგავსება ცოტაა... შვეიცარია როგორც ეკონომიურათ ისე თავისი პოლიტიკური სისტემით დედა-მიწის ზურგზე ყველაზე უფრო დაწინაურებული ქვეყანაა. მისი კონსტიტუცია ბევრათ მაღლა დგას თვით ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებთა კონსტიტუციაზე.

შვეიცარიას (ანუ ძველათ ჰელვეციას) შეადგენენ ოცდა ორი კანტონი. თითოეული კანტონი არის ცალკე რესპუბლიკა და კიდევაც ყოველ ოფიციალურ ქაღალდებში იწოდება რესპუბლიკათ და კანტონათ. კანტონს აქვს თავისი მმართველობა, ჰყავს ცალკე პრეზიდენტი, საერთო საბჭო (Le Conseil Général), დიდი საბჭო (Le Grand Conseil), სახელმწიფო საბჭო (Le Conseil d'état) და სამსაჯულო; შინაგან საქმეებს განაგებს თვით თავისუფლათ, მხოლოთ გარეგან პოლიტიკაში და იმ კითხვებში, რომელნიც შეეხებიან რამდენიმე ან ყველა კანტონებს საქმის გარდაწყვეტა ეკუთვნის კანტონთა შეერთებულ მთავრობას, წოდებულს ფედერაციით. (კანტონებზე გვექნება ბაასი მეორე თავში). მხოლოთ ფედერაციას და არა ცალკე კანტონს აქვს უფლება ომის გამოცხადებ სა, ზავის ანუ კავშირ ს თუ სხვა რამე პირობათა გარეშე სახელმწიფოებთან შეკვრისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირობა შეეხება მარტო ერთ რომელსამე კანტონის ეკონომიურ ან პოლიციურ მხარეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანტონს შეუძლია ფედერაციის დაუკითხავათ პირდაპირ დაიჭიროს საქმე გარეშე ქვეყნებთან. მხოლოთ ფედერაციას აქვს უფლება ფულის მოჭრისა, ჯარისთვის იარაღის დამზადებისა, ბაჟის გადახდევინებისა და მაგარი სასმელების დამზადება და გაყიდვისა. ფედერაციის სუვერენიტეტი განხორციელებულია სამ უმაღლეს დაწესებულებაში:

1) ფედერაციის კრება (L' assemblée fédérale), წარმომადგენელი კანონმდებელი უფლებისა.

2) ფედერაციის საბჭო (Le Conseil fédéral), წარმომადგ. აღმასრულებელი უფლებისა.

3) ფედერაციის სამსაჯულო.

ა) ფედერაციის კრება შედგება ორი ნაწილისაგან:

1) საერო საბჭო (Le Conseil national)

და 2) საბჭო სახელმწიფოთა (Le Conseil des États).

პირველი საერო საბჭო—წარმომადგენელია მთელი შვეიცარიის, როგორც ერთეულისა; ხოლო მეორე—სახელმწიფოთა საბჭო—წარმოადგენს კანტონებს, როგორც რესპუბლიკებს, განცალკევებულ ორგანიზმებს. მოკლეთ, პირველი წარმომადგენელია შვეიცარიის საერთო ინტერესებისა, მეორე—კანტონების კერძო ინტერესებისა.

ფედერაციის კრების (L' assemblée fedérale) ორი ნაწილის საერო და კანტონთა საბჭოთა წევრები აირჩევიან ამნაირათ.

**საერო საბჭო.** თითოეული კანტონი დაყოფილია ოლქებათ; ოლქში ყოველ 20 000 მცხოვრებზე (რასაკვირველია შვეიცარიის მოქალაქეებზე) ხმის უბრალო უმრავლესობით აირჩევა თითო დეპუტატი; თუ რომელსამე ოლქში დანარჩენი მოქალაქეთა რიცხვი აღემატება 10,000, ოლქს ეძლევა უფლება კიდევ ერთი დეპუტატის არჩევისა. კანტონს ანუ ნახევარ კანტონს (ზოგიერთი კანტონები გაყოფილია ორათ, ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი), რაც უნდა პატარა იყოს მცხოვრებთა რიცხვი, მაინც აქვს უფლება აირჩიოს ერთი დეპუტატი. ეს ამ დეპუტატებისაგან შედგება საერო საბჭო სამი წლით. სამი წლიწადი გაიყოფა ოთხ სესიათ. ყოველი სესიისთვის დეპუტატნი აირჩევენ მათ შორის ახალ პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს. არც პრეზიდენტის და არც ვიცე-პრეზიდენტის მეორეჯერ ამორჩევა იმავე თანამდებობაზე სამი წლის განმავლობაში არ შეიძლება.

**საბჭო სახელმწიფოთა.** თითოეული კანტონი მიუხედავათ მცხოვრებთა რიცხვისა აირჩევს ორ წარმომადგენელს. შვეიცარიაში 22 კანტონია; ამნაირათ სახელმწიფოთა საბჭო შედგება 44 წევრისაგან. ამა-

თი ამორჩევა ყველა კანტონებში ერთნაირათ როდი ხდება. ზოგიერთ კანტონებში მათ ირჩევს კენჭით პირდაპირ ხალხი, ყველა მოქალაქეთა კრება; მაგრამ უფრო ბევრ კანტონებში მათ ამოირჩევს დიდი საბჭო (Le grand Conseil)—კანონმდებელი დაწესებულება, რომელიც შედგება დეპუტატებისაგან. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ინიშნება აქ ისე, როგორც საერო საბჭოში.

აი ეს ორი დაწესებულებანი—საერო საბჭო და საბჭო სახელმწიფოებისა—შეადგენენ ფედერაციის კრებას. ამ კრების პრეზიდენტათ ინიშნება საერო საბჭოს პრეზიდენტი. ეს კრება, როგორც მთელი ფედერაციის წარმომადგენელი, ნიშნავს ფედერაციის საბჭოს და სამსაჯულოს წევრებს და აგრეთვე დანარჩენი ფედერაციის უმაღლეს მოხელეებს, მათ შორის პოლკოვნიკებს და ღენერლებს. ეს კრება განაგებს ყველა საერთო საქმეებს, გარევან პოლიტიკას; მისი მოვალეობაა კანტონთა კონსტიტუციის დაცვა, აგრეთვე თვალ-ყურის დევნება, რომ კანტონებმა შეასრულონ ყველა ფედერაციის განკარგულებანი. მის უფლებაში შედის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება, ანგარიშების განხილვა და ზედამხედველობა ყველა ფედერაციის დაწესებულებებში. ამ კრებას აქვს უფლება განიხილოს კონსტიტუცია და შეეკითხოს ხალხს რაიმე კითხვის გადასაწყვეტათ (რეფერენდუმი).

ფედერაციის კრებაში და აგრეთვე საერო და სახელმწიფოთა საბჭოებში ფრანგულს, გერმანულს და იტალიანურ ენებს, რომლებზედაც ლაპარაკობენ სხვა და სხვა კანტონებში, თანასწორი უფლება აქვთ; თარჯიმანები თარგმნიან ორატორების სიტყვებს დანარჩენ ორ ენაზე. ოქმები და განჩინებები იწერებიან სამივე ენაზე. 1848 და 1874 წწ. კონსტიტუციები იყო დაწერილი ხუთ ენაზე: გარდა ზემოხსენებული სამი ენისა—რომანულზე და ლადინურზე. *) ამ ნაირათ არავინ არ რჩება შეურაცხყოფილი, ყველას შეუძლია გაიგონოს სამშობლო ენაზე ფედერაციის დადგენილებანი და კონსტიტუციის შინაარსი, რაც არ ჰყოფს მათ იძულებულს მიმართონ თარჯიმანს ან და დარჩენ უმეცარნი იმის შესახებ, თუ როგორ წყდება მათი ბედ-იღბალი მათგანვე ამორჩეული მოხელეებისაგან.

ფედერაციის კრების ამ ძირითადი დაწესებულების გარდა, არის კიდევ ორი უმაღლესი დაწესებულება: ფედერაციის საბჭო Le Conseil fédéral) და ფედერაციის სამსაჯულო (Le tribunal fédéral).

**ფედერაციის საბჭო** (აღმასრულებელი უფლება). ეს დაწესებულება შედგება შვიდი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს ფედერაციის კრება შვეიცარიის მოქალაქეთა შორის სამი წლის ვადით. ერთი და იმავე კანტონიდან ორი წევრის არჩევა აკრძალულია კონსტიტუციით; ყოველ წელიწადს ამ შვიდ წევრთა რიცხვიდან კრება ნიშნავს ფედერაციის საბჭოს პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს; ხელმეორეთ მათი არჩევა არც პრეზიდენტათ და არც ვიცე-პრეზიდენტათ არ შეიძლება. პრეზიდენტი არის იგივე პრეზიდენტი შვეიცარიის რესპუბლიკისა, მაგრამ ის არ არის ქვეყნის ბატონი, მას არ შეუძლია კონსტიტუციის ან სხვა რომელისამე კანონის შეცვლა, ომის გამოცხადება ან ზავის შეკვრა, კრების ანუ ერის გადაწყვეტილების წინააღმდეგობა; ის არის მხოლოთ Primus inter pares—პირველი თანასწორთა შორის. ის არის თავმჯდომარე, მისი მოვალეობაა დაურიგოს სხვა და სხვა დეპარტამენტებს საქმეები და იქონიოს ზედამხედველობა მათ მსვლელობაზე. თითონაც, როგორც მინისტრს, აქვს ცალკე დეპარტამენტი. მას უნდა გამოეცხადონ გარეშე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

ფედერაციის საბჭო იყოფა შვიდ დეპარტამენტათ: 1) გარეშე საქმეთა; 2) შინაგან საქმეთა; 3) იუსტიციის და პოლიციის; 4) სამხედრო; 5) ფინანსების და დამოჟნის; 6) მრეწველობის და მეურნეობის და 7) ფოსტის და რკინის გზის. თითოეულს ჰყავს საკუთარი მინისტრი.

ამ საბჭოს ეკუთვნის უფლება დაუმორჩილოს ურჩი კანტონები ფედერაციის გადაწყვეტილებას; მაგრამ არა ფიზიკური ძალით, ის ურჩ კანტონში გზავნის ჯარს და კანტონი ვალდებულია არჩინოს ეს თავის ხარჯზე, ან და დაუკავებს საფედერაციო თანხიდან ფულს, რომელიც ეძლევა კანტონს ადგილობრივი საჭიროებისთვის.

**ფედერაციის სამსაჯულო.** მსაჯულებს რიცხვით ცხრას ნიშნავს ექვსი წლის ვადით ისევ ფედერაციის კრება; მსაჯულთა შორის უნდა იყვნენ წარმომადგენელნი სამივე გერმანული, ფრანგული და იტალიანური—ენისა; ამას მოითხოვს კონსტიტუცია. ამ სამსაჯულოში გადააქვთ აპელაცია კანტონების სამსაჯულოებიდან. გარდა აღნიშნული ცხრა მსაჯულისა კანტონები ირჩევს 12 ნაფიც მსაჯულს იმ ოლქში, სადაც ხდება სხდომა სამსაჯულოსი. თუ თორმეტიდან ათმა ნაფიცმა არ იცნო ბრალდებული დამნაშავეთ, საქმის გარჩევა გადადის ახალ ნაფიცთა ხელში. მსაჯულთ აქვთ უფლება წარმოთქვან სიტყვა და წაიკითხონ განჩინება სამშობლო ენაზე.

*) ამ ორ ენაზე ამ ქამით ლაპარაკობენ კანტონ გრიზონში (Grisons).

როგორც ფედერაციის საბჭო, აგრეთვე ფედერაციის სამსაჯულო ემორჩილება ფედერაციის კრებას, რომელიც შედგება მთელი ერის და ცალკე კანტონების წარმომადგენელთაგან; ხოლო თვით ფედერაციის კრების უფლება განსაზღვრულია კონსტიტუციით და მთელი შვეიცარიის მოქალაქეთა სურვილით. მხოლოთ იშვიათ და ფრიად საჩქარო შემთხვევებში და ისიც დროებით შეუძლია ამ კრებას ერის დაუკითხავათ შეცვალოს ძველი კანონი ან დაადგინოს ახალი.

შვეიცარიის კონსტიტუციის განხილვა და რამე ახალი მუხლის მასში შეტანა ან ძველის გაუქმება შეიძლება, თუ ამას მოითხოვს ან საერო საბჭო ან საბჭო სახელმწიფოთა ან და 50 000 შვეიცარიელი მოქალაქე. ამ შემთხვევაში დაეკითხებიან მთელ ერს, გაიმართება ხელის მოწერა და თუ მოქალაქეთა უმრავლესობა მოისურვებს კონსტიტუციის განხილვას, მაშინ აირჩევენ ორივე საბჭოში ახალ წევრებს, რომელნიც შეუდგებიან კონსტიტუციის განხილვას. განხილული და შესწორებული კონსტიტუცია ხელახლავ წარედგინება ერს და თუ მოქალაქეთა უმრავლესობა დაყაბულდება, ახალი კონსტიტუცია შედის ძალაში.

ქ. ჟენევა. დ. თოფურიძე.

## „ქართლის ცხოვრების" გადმოცემა

### ქართული ენის შემოღების შესახებ.

(ბ. მარრის საპოლემიკო წერილების გამო)

ვისაც წაუკითხავს ჩვენი დიდი მატიანე, წოდებული „ქართლის ცხოვრებათ", შეუძლებელია, რომ განსაკუთრებითი ყურადღება არ მიექციოს მას შემდეგ სიტყვებისთვის: „აქამომდის (VI—V საუკ. ქრისტეს წინ) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსაც ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული" („ქართ. ცხოვ.", გვ. 25). ასეა ნათქვამი ბროსსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში". მაგრამ ამ მატიანეს აქვს რამდენიმე ვარიანტი, დედანი, და ერთ იმათგანში, სახელდობ რუმიანცოვის მუზეუმის ხელნაწერში, ეს ადგილი ასე იკითხება: „აქამომდე ქართლოსიანთა ენა იყო მხოლოდ ქართული, რომელსა ზრახვიდეს; ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც გარყვნეს ენა თვისი და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მორთული" (იხ. დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 63, შენიშვნა 2). რუმიანცოვის ხელნაწერს ამის შესახებ ეთანხმება აგრეთვე ბატონიშვილი თეიმურაზის ხელნაწერიც, რომლის სიტყვები: „აქამომდე ქართლოსიანთა ენა მხოლოდ ქართული იყოო", მოყვანილია თვით ბროსსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში" (გვ. 25, შენიშვნა). თუ ღრმათ ჩავუკვირდებით ამ ორი უკანასკნელი ხელნაწერის კილოს და საზოგადო მიმართულებას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ, როგორც ზევით მოყვანილი სიტყვები, ისე სხვა ადგილებიც [1]) იქ მერმინდელი შეკეთებული და შეცვლილია. ასეთი შეკეთება ადვილი ასახსნელია, თუმც მეორე მხრით მისი უხერხულობა ყველასათვის აშკარაა.

ამ ნაირათ, თუმც ჩვენ გვჯერა, რომ ბროსსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება" უძველესი ვარიანტია და, როგორც ასეთი, უფრო სარწმუნო, ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ ის ადგილი, სადაც ქართული ენის შემოღებაზეა ლაპარაკი, ყოველ გვარ გონიერებას და სიმართლეს მოკლებულია. სამწუხაროთ, ჩვენი მატიანე არა მარტო ამ საკითხის შესახებ იძლევა ასეთ ყოვლად შეუწყნარებელ და უკვან მოსაზრებას. საინტერესოა ის გარემოება, რომ პატივცემული აკადემიკოსი მ. ბროსსე, რომელმაც პირველათ გამოსცა „ქართ. ცხოვრება" და კრიტიკული თვალითაც შეეხო ამ დოკუმენტს, კარგათ ხედავდა მის სუსტ მხარეს და, რაც უფრო მოსაწონია, ისიც ხელს აფარებდა ამას. თუმც ბ-ნი ნ. მარრი, რომლის პოლემიკური წერილები გახდენ ამ ჩვენი შენიშვნის მიზეზათ, გვარწმუნებს (იხ. გაზ. „ახ. მიმოხ.," № 4894), რომ ის ადგილი „ქართ. ცხოვრებისა", რომელიც იწყება სიტყვებით: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა" და სხ. მ. ბროსსეს ისე ესმოდა, როგორც დაბეჭდილიაო, მაგრამ ეს აშკარა სიცრუეა. აი, რას ამბობს ამის შესახებ პატივცემული აკადემიკოსი: „თუ ძლიერ სარწმუნოა ის, რომ ქართული და სომხური ენები ერთი საერთო ენის შტოარიან, ვინაიდგან იმათი ნათესაობითი კავშირი დამტკიცებულია [2]) ისტორიულათ და ფილოლოგიურათ, მე მაინც უნდა ავღიარო, რომ ზოგიერთი ფაქტები, რომლებსაც ამის შესახებ მატიანე გვა-

1) მაგალითათ, ბროსსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში" თარგამოსის უფროს შვილს ჰაოსი ერქვა, რუმიანცოვის მუზეუმის ხელნაწერით კი ქართლოსი.

2) დღეს ეს აზრი, ე. ი. ქართული და სომხური ენების ნათესაობა, ჯერ-ჯერობით უარ ყოფილია. ფ. მ.

წვდის, საეჭვოთ მიმაჩნია. მაგალითათ, მე ძალიან მჯერა, რომ თარგამოსის[3]) ყველა შვილები ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობდენ, მაგრამ არა ის, რომ ვითომც ნაბუქოდონოსორის დრომდის სომხური ენა გავრცელებული ყოფილიყოს საქართველოში... მე არც ის მჯერა, რომ ვითომც საქართველო თავშესაფარი ყოფილიყოს კავკასიის და აზიის ყველა ლტოლვილთათვის და ვითომც დღევანდელი ქართული ენა წარმომდგარიყოს იმათი ენების შერევისაგან." [4]) ასე ფიქრობდა და ასე ესმოდა ბროსსეს „ქართლის ცხოვრების" გადმოცემა ქართული ენის შესახებ, და გვწყინს, რომ ბ-ნი მარრი ყოველსავე ამას ხელს აფარებს.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ბროსსეს თვალში „ქართლის ცხოვრება" ყოველგან და ყველაფერში მართალი არ იყო. სულ სხვას ვხედავთ ახლათ მოვლენილ მეცნიერ, ბ-ნ მარრში. ამ უკანასკნელს ძლიერ გაუმარტივებია სამეცნიერო კვლევის მეთოდი; მაგალითათ, ისტორიული გამოკვლევისათვის მას მათემატიკური ხასიათი მიუცია. როგორც მათემატიკას აქვს ერთხელვე დადგენილი ფორმულები, ბ-ნ მარრსაც უცდია ასეთი ფორმულების შემოღება ისტორიულ მეცნიერებაში. თქვენ გსურთ. მაგ., რაიმე ისტორიული მოსაზრების დამტკიცება; მაშინ ეს მოსაზრება თქვენ უნდა ქაღალდზე დაწეროთ, შემდეგ გაუსვათ ორი ხაზი (=) და დაასახელოთ რომელიმე ძველი დოკუმენტი (კარგი იქნება, თუ ეს უკანასკნელი რომელიმე აკადემიკოსის გამოცემულია,) და მორჩა და გათავდა: დამტკიცება ხელში გაქვთ. „ქართლის ცხოვრებაში" და ვახუშტის ისტორიაში ნათქვამია, რომ ქართველები წინეთ სომხურ ენაზე ლაპარაკობდენ და მხოლოთ შემდეგ შემოიღეს ქართული ენაო. ბ-ნი მარრი მათემატიკოსების მსგავსათ დიდი სისწორით უჩვენებს თუ რომელ გვერდზე წერია ეს (ასე წარმოიდგინეთ ფრანგული თარგმანიც არ დაივიწყა) და შემდეგ თამამათ გაიძახის: „ქართული მატიანე ორჯელ გვაუწყებს, რასაც აკაკი ძალდაუტანებლათ უარჰყოფსო" („ახ. მიმოხ.", № 4894). ამნაირათ ჩვენი მატიანეს ყოვლად შემცდარი მოთხრობა ბ-ნმა მარრმა სრულ ჭეშმარიტებათ აღიარა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვალდებული იყო განეცხადებ-ა, რომ თანამედროვე მეცნიერება, განსაკუთრებით ერთი მისი შტო, ლინგვისტიკა, რომლის წარმომადგენლათ ის თავის თავს რაცხს, ვერ შეურიგდება ასეთ გადმოცემასო, რომ ეს ეწინააღმდეგება ენის არსებას, მის მცნებასო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ბ-ნ მარრს ამ შემთხვევაში მეცნიერული საკითხი კი არ აინტერესებდა, არამედ პოლემიკური ქაილი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ჟინი. და მოგვეცათ სიცოცხლე, პოეტ აკაკიზე მან ჟინი იყარა. აკაკი ამბობდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში" სიტყვა „ქართულის" მაგიერ „სომხურია" ნახმარიო. როგორ თუ ქართულიო?—კითხულობს ბ-ნი მარრი. მაშ გადაშალეთ ბროსსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება" და ვახუშტის ისტორია და თქვენ დაინახავთ, რომ აკაკი ტყუისო. ჩვენ ვიცით, რომ აკაკის ტყუილი მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ მან თქვა ის, რაც „ქართლის ცხოვრების" ზოგიერთ დედნებში წერია და ამასთანავე აღიარა იმის შეუძლებლობა, რაც მართლა შეუძლებელია. ბ-ნმა მარრმა კი დაუფუძნებელი და შეუმოწმებელი დოკუმენტის საშუალებით დაამარცხა აკაკი. მაგრამ ლიტერატურული დამარცხება სამხედრო დამარცხებას როდი გავს: ომში რა იარაღიც უნდა იხმარო, არავინ გაგკიცხავთ, ოღონდ დაამარცხეთ მტერი. ლიტერატურულ ბრძოლაში კი პირიქით თვით იარაღს აქვს უაღრესი მნიშვნელობა; აქ დასამტკიცებელი საბუთი უეჭველი და კრიტიკულათ შემოწმებული ფაქტი უნდა იყოს, და არა ყოვლად უვიცი პირის ფანტასტიური მოსაზრება, თუნდ ეს უკანასკნელი რომელიმე აკადემიკოსის მიერაც იყოს აღბეჭდილი. ბ-ნმა მარრმა არ მიიღო მხედველობაში ეს გარემოება, რასგამო სრულიად აცდა საგნის მეცნიერულათ გამორკვევას და ამის გაცვეთილი პოლემიკური ხრიკების ხმარება არჩია. წარმოიდგინეთ ამ კამათში ახალგაზრდა მეცნიერი ისეთ თავდავიწყებამდე მივიდა, რომ, როგორც ვიცით, განსვენებულ ბროსსესაც ცილი დაწამა. მაგრამ მკითხველმა არ იფიქროს, რომ ჩვენც პოლემიკის ქარ-ტეხილი გვაქვს ავარდნილი. არა, ჩვენ თუ დავიწყეთ ამ საგნის შესახებ საუბარი, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ჩვენ პირადათ დიდი ხანია ვფიქრობთ ჩვენი მატიანეს კრიტიკულათ გარჩევის და შემოწმების მიუცილებელ საჭიროებაზე. ასეთ განხილვას და შემოწმებას საჭიროებს უწინარეს ყოვლისა ჩვენი მატიანეს მოთხრობა ქართული ენის შემოღების თაობაზე. რადგანაც დღეს ბ-ნ მარრსა და აკაკის შორის ჩამოვარდნილმა პოლემიკამ ეს საკითხი პირდაპირ დაგვიყენა და რა-

---

[3]) „ქართ. ცხოვრების" თქმულებას თარგამოსზე, როგორც მამათმთავარზე „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა (გვ. 15), წმინდა ლეგენდარული ხასიათი აქვს, და ისტორიული სინამდვილის აქ არაფერია.

ფ. მ.

[4]) იხ. Histoire de la Georgie depuis l'antiquité, t. i, trad, par. M. Brosset. Introduction, p. xx. ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ.

დიანაც არც ერთ იმათგანს ამაზე საფუძვლიანი პასუხი არ გაუცია, ამიტომ საჭიროთ ვთვლით ჩვენი მოსაზრება განვუზიაროთ მკითხველს ამ საგნის შესახებ.

როგორც ვიცით, ბროსსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება, რომ ნაბუქოდონოსორის დრომდე ქართველები ლაპარაკობდენ სომხურ ენაზე; მაგრამ ამ დროს საქართველოში შემოკრბენ ურიცხვენი ნათესავენი და ქართველებმაც დაუტევეს სომხური ენა და იწყეს ლაპარაკი ქართულათ, მაშასადამე, ამ გადმოცემის თანახმათ, ქართველ ტომს თავისი ენა გამოუცვლია. მემატიანე, რასაკვირველია, არას ამბობს იმაზე, თუ ქართველები რათ ლაპარაკობდენ სომხურ ენაზე, რა უყვეს მათ თავისი დედაენა? თუ, შეიძლება, არაოდეს არ ჰქონია მათ თავისი საკუთარი ენა? რა მიზეზებმა აიძულეს ქართველები, რომ სომხური ენა დაეტოვებინათ და ქართული შემოეღოთ. მატიანეს შემდგენელი არას ამბობს აგრეთვე არც იმაზე, ქართული ენა არსებობდა, თუ არა წინეთ, ვინამ მას ქართველები ხმარებაში შემოიღებდენ? თუ არსებობდა, რომელი ტომის ხალხი ლაპარაკობდა მაზე. თუ არ არსებობდა იმ შემთხვევაში საიდან, ან რა სასწაულის ძალით გაჩნდა ის? ყველა ამ კითხვებს გვიბადებს ჩვენ „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობა ქართული ენის შემოღებაზე. მაგრამ უმთავრესი საკითხი, რომელიც მოკლეთ ჩვენ ამ წერილში უნდა გამოვარკვიოთ, მდგომარეობს შემდეგში: შესაძლებელია თუ არა, რომ ხალხმა თავის სურვილით გამოიცვალოს თავის დედა ენა, ე. ი. ერთი დაივიწყოს და მის მაგიერ მეორე შემოიღოს? ამ საგნის გამორკვევისათვის საჭიროა ვიცოდეთ ერთი მხრით ის, თუ რა შეადგენს ენის არსებით მხარეს, მის დედა ძარღვს, და მეორე მხრით ის, თუ რაში მდგომარეობს ენის განვითარება.

ფ. მახარაძე.

(შემდეგი იქნება)

---

## გრიშას ბედნიერება.

(მოთხრობა).

ზაფხულის შვენიერი საღამო იყო. ქვეყნის მნათობს დასავლეთი წითლათ შეეღება და მოციმციმე სხივებს უკანასკნელათ ათამაშებდა ცის ლაჟვარდში. ერთი საათის განმავლობაში ჩაესვენა დღის მნათობი და მის ნაცვლათ მთვარემ გაიბრწყინა მთელი ბახმარო. ბუნება შვება-განცხრომაში იყო. მაგრამ განა ყველას შეეძლო დამტკბარიყო ბუნების ამ სიკეკლუც-სიმალხაზით?... მხოლოთ მცირე ნაწილს კაცობრიობისას!.. შვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, შვენიერი ბუნება იზიდავდა კაცს განმარტოვებულ ოცნებისათვის. ღამის სიჩუმეს არღვევდა ბახვის წყალი, რომელიც იქვე ახლო ჩამოჩხრიალებდა. წყნარათ გამოვედი მინდორზე და მივედი წყლის პირას, რომელიც თავის ჩხრიალით თითქო უალერსებდა მიძინებულ ბუნებას. მომდიოდა ათას გვარი ფიქრები ჩემ მაშოზე, რომელიც გაგიჟებით უყვარდა ჩემ ძმათ ნაფიცს, გრიშას, და რომელიც ამ დროს დაღონებული მარტო იჯდა თავის ოთახში და გაეტაცნა მწარე ფიქრებს. უეჭველია, იგონებდა თავის საყვარელ გრიშას და მასთან მხიარულათ გატარებულ დროს. ბახვის წყლის ჩხრიალი ამ მყუდროებაში ისე მიალერსებდა, რომ სევდით მოცული გული მომილბა და აღმეძრა ათას გვარი ფიქრი, ერთი-ერთმანეთზე სასიამოვნო, ერთი-ერთმანეთზე სანატრელი. შევედი ოცნებაში და წარმოვიდგინე ჩემი თავი მაშოსთან ბედნიერათ!... ამ ოცნებამ იქამდი გამიტაცა, რომ ის, შვენიერი, მთელი თავის სიკეკლუც სინაზით თვალწინ წარმომიდგა. ხელს ვკიდებდი ნაზ ტანს, შევყურებდი შვენიერ, ჟუჟუნა თვალებში და ნიავის მსგავსი ჩურჩულით, სავსე კრძალვით და უმანკოებით, წარმოვთქვამდი ფიცს სამუდამო სიყვარულზე და ერთგულებაზე. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ყველა არ იყო ოცნების ნაყოფი, რომელშიაც გულს ასე დაეჯაბნა ჭკუა; სასურველი სურათები წარმომიდგა ცოცხალ მოქმედებათ. როდესაც ამ ნეტარებაში ვიყავი, ვიღამაც გამოაჩქაფუნა ბახვის წყალი, ამოვიდა გორაზე და ჩემ წინ გაჩერდა. ახალ მოსულმა დამიწყო ყურება და უკვირდა, რომ მე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი და თითქო არც კი ვამჩნევდი.—ვანო, ვანო! მითხრა მოსულმა და ხელი დამადვა მხარზე. ამ სიტყვებზე ისე შევკრთი, რომ ახალმოსული შეშინდა: —რა დაგემართა ვანო?! მე ვარ, ველარ მიცანი?

— ჰო!... შენა ხარ... ჰო, შენა, შენა, და ამ სიტყვებთან ხელი გავუშვირე, —შენ ხარ, ჩემო ძმაო გრიშა?! —მე მხოლოთ მაშინ მოვედი გონს, როდესაც გრიშამ მკლავი დამიჭირა. ბედშავო ჩემო თავო!... რა დაგმართნია, ვანო, ველარ მიცანი?.—ჰო, გრიშა, გრიშა! შენა ხარ—შევძახე მე.

მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, რა სატანჯველათ უნდა ემოქმედა ამ შემთხვევას ჩემზე! მე გამოვყავდი ამ სანატრელ ოცნებისაგან იმ კაცს, რომელსაც ეკუთვნოდა მაშო და რომლისათვისაც არამც თუ უნდა დამეთმო, არამედ თითონ უნდა მი-

მეცა შემწეობა, მეშველა იმათ შეერთებისათვის. გული გაივსო გრძნობით, სატანჯველი ნაღვლათ გადმოვიდა ნაპირებზე და ჩემი მდგომარეობა აუტანელი გახდა.—გრიშამ თავი ვეღარ დაიჭირა და თითქო ქვითინით გადამეხვია თავის ძმათ ნაფიცს, რომელმაც თავის ნახვის სიხარულით მიიღო ჩემი ქცევა.—გრიშა, გრიშა, შენი ჭირიმე!.. უგრძნობლათ ვიძახდი მე.

— კარგი, ვანო, ღვთის გულისათვის გაჩუმდი! რა დაგემართა, გენაცვა?..

— არაფერი, არაფერი! დარცხვენით ვუპასუხე მე და ძლივს შევიმაგრე გული

— მაშო როგორაა, რატომ არას მეუბნები იმაზე?..

— მაშო?.. ის?.. რა უჭირს ბედნიერსა, კარგათაა. შენ გელოდა, შენ ფიქრში იყო. მოკლეთ მოვუჭერი, რადგან ამ საგანზე ლაპარაკი ძლიერ მამღერევდა. ამას შემდეგ მე წაველი მაშოს მოსაყვანათ... გრიშა მოუთმენლათ ელოდა იმის მოსვლას და თითო გავლილი წუთი, უეჭველია, წლიწადათ ეჩვენებოდა. ამ დროს რაღაცამ გაიშრიალა და გრიშას გადაეხვია თითქო გონება დაკარგული მაშო.

— შენა ხარ, შენა?! კიდევ მშვიდობით გხედავ?! ეუბნებოდა გატაცებით მაშო. —დამშვიდდი, ჩემო თვალის სინათლე, ნუ გეშინია, ახლა აღარ გავიყრებით... გესმის?... რათ გაკანკალებს აგრე?—არა, არ მცივა, არა.... ბოლოს როგორც იყო, ისინი გამოერკვნენ და გრიშამ უთხრა:

— მაშო, მოემზადე, მე შენ მოსატაცებლათ მოვედი.

— ჩემ მოსატაცებლათ? თითქო შეკრთა მაშო.

— ჰო, შენ მოსატაცებლათ... რათ შეგეშინდა? ჰკითხა გრიშამ და დაკვირვებით დააცქერდა მას.

— არა, არა, მე არ მეშინია. . შენთან რისა უნდა მეშინოდეს...

ჩემი დახმარებით მოვიტაცეთ მაშო და გავწიეთ გრიშას ბინაზე... ისინი ბედნიერები იყვნენ, მხოლოთ ჰე მტანჯავდა ჩემი სვინდისი, მქენჯნიდა ის აზრი, რომ მაშო მიყვარდა მაშინაც კი, როდესაც ის საუკუნოთ ეკუთვნოდა ჩემ გულითად მეგობარს.

დათიკო ელშიტისშვილი.

## საქველ-მოქმედო საქმე

მეფე ერეკლეს ფონდის სასარგებლოთ გნ. მარიამ შარვაშიძისამ მოაგროვა ქალაქ სუხუმში (1897 წ. მაისში და ამ წლის, 1898 წ. დამდეგს) ბ-ნ ზაქარია სვიმონის ძე თურქიას შემწეობით 200 მ. თავმჯდომარე ამა კომიტეტის გნ. ნ. ქობულოვისა გულითად მადლობას უძღვნის ამ უსკ შემწეობისთვის როგორც თვით ბატონ ზაქარია სვიმონის ძე თურქიას ისე ყველა იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და შემოსწირა ფული.

—

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ჩვენ, სულ 72 მოსწა[illegible], ქ-ნ ელისაბედ აბრამიშვილისას, რომელიც ეს მესა[illegible] წელია გვიგზავნის თავის საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს". ჟურნალს დიდი სიამოვნებით ვკითხულობთ და ბევრ სხვასაც ვაკითხებთ.

დაბა საჩხერის საერო სკოლის მოწაფეები.

—

ქ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალის" შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო პოდპოლკოვნიკს ივანე ანტ. დუმბაძეს, რომელმაც შემოსწირა შემოქმედის უფასო სამკითხველოს 10 მ.

დამაარსებელი ბიბლიოთეკისა თავ. კოსტ. გურიელი.

## შეცდომის გასწორება.

„კვალის" მე № 19-ში, ახალ ამბავში დაბეჭდილია: „ჩვენ მივიღეთ ერთი ახალი წიგნაკი „სალარო ცოდნისა"; უნდა იყოს „ჩვენ მივიღეთ ერთი ახალი წიგნი".

## უცხო სიტყვების ახსნა

ილიუზია—მოჩვენება; ინსტრუქცია—წესები; კომპლექტი—სრული, მთელი; პროტექცია—მფარველობა; რეპერტუარი - წარმოსადგენ პიესების სია.

გამოვიდა საბავშო წიგნი
„პატარა ლორდი"
ჯეჯილის რედაქციის გამოცემა
თარ. ელ. წერეთლისა
ფასი 30 კაპ.
იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 9 Мая 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა. მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.